საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის შესახებ

კობა სოხაძე
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი
E-mail: ananiashvili.nina@gmail.com

რეზიუმე

განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის გააქტიურება როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის **სტრატეგიული მართვა,** რაც გულისხმობს ეკონომიკის ეფექტურ ტრანსფორმაციას მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ამ ფუნქციის შესრულების მიზნით სახელმწიფომ მობილიზება და კონცენტრაცია უნდა გაუკეთოს ინტელექტუალურ რესურსებს, განავითაროს პროგნოზირება, შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური პროგრამები, გამოყოს სტრატეგიულ მიზნებზე მსხვილი რესურსები, იზრუნოს მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის სრულყოფაზე.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა. ინტელექტუალური რესურსები. პროგრნოზირება. დაგეგმვა. დასაქმების დონე. ცხოვრების დონე. ინოვაციები. კრიზისები. საკუთრების დაცვა. ინფლიაციური პროცესები.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სოციალისტური ეპოქა გასული საუკუნის მნიშვნელოვან ისტორიულ პერიოდს მოიცავდა, რომელმაც საკუთარი კვალი დატოვა საქართველოში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესზე. სოციალიზმის ეპოქაში სახელმწიფო გამოდიოდა როგორც ეროვნული რესურსების უმეტესი ნაწილის მესაკუთრე. სახელმწიფოს მართვა ფორმარულ ხასიათს ატარებდა და იმერთებოდა ცენტრალიზებულად, საკავშირო მართვის ორგანოების დირექტივებისა და კონტროლის მექანიზმების საშუალებით.

პოსტსოციალისტურ ეპოქაში საზოგადოების დემოკრატიზაციის და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესში სახელმწიფომ ეკონომიკის მართვის პროცესები დათმო საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ, რაც ითვალისწინებდა ე.წ. „უხილავი ხელის" მიერ ეკონომიკის თვითრეგულირებას. ეკონომიკის ლიბერალიზაციის დროშის ქვეშ, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზების პარალელურად, საბაზრო ეკონომიკა ვითარდებოდა სტიქიურად, შოკური თერაპიის პრინციპით, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკაში ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის" განვითარებას. მსოფლიო მაშტაბით ოლიგარქიული კაპიტალის გაბატონებამ ხელი გამოიწვია სახელმწიფოს ფუნქციების ცვლილება ოლიგარქიული კაპიტალის სასარგებლოდ. სახელმწიფო არაეფექტურად იყენებდა ან საერთოდ არ იყენებდა საკუთარ სოციალურ ფუნქციას, რაც იწვევდა სოციალურ დაძაბულობას და კონფლიქტებს.

კვლევის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ცნება „ბაზარი" ასახავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც აყალიბებს და აწესრიგებს საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესს და ადგენს ფასებს საქონელზე.

ეკონომიკური ურთიერთობებისაგან განსხვავებით საქონლის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობების დახასიათების დროს ბაზრის დახასიათებისას განსაკუთრებით გამოიყოფა სამი კატეგორია - მოთხოვნა, მიწოდება, ფასები. შესაბამისად გამოიყოფა ასევე საბაზრო ურთიერთობების სამი ძირითადი სუბიექტი - მყიდველები, გამყიდველები და საქონლის მწარმოებლები, რომელთა გამართული და სინქნორული საქმიანობა ბაზრის უკრიზისო განვითარების მყარი გარანტიაა.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული მართვა, რაც გულისხმობს ეკონომიკის ეფექტურ ტრანსფორმაციას მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. აღნიშნული ფუნქცია განსაკორებულ მნიშვნელობას იძენს გარდამავალ ეპოქაში და კრიზისების პერიოდში, როცა იზრდება ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს შორის წინააღმდეგობები, სწრაფად იცვლება გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური სიტუაცია. ამ ფუნქციის შეს-

რულების მიზნით სახელმწიფომ მობილიზება და კონცენტრაცია უნდა გაუკეთოს ინტელექტუალურ რესურსებს, განავითაროს პროგნოზირება, შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური პროგრამები, ბიუჯეტიდან გამოყოს მსხვილი ფინანსური რესურსები, სტრატეგიულ მიზნების განხორციელებისათვის, იზრუნოს მენეჯერების მომზადებისა და გადამზადების სისტემის სრულყოფაზე.

სახელწიფოს მიერ სტრატეგიული მართვის უგულველყოფა იწვევს ინფლიაციური პროცესების გაძლიერებას, საკუთრების სტიქიურ გადანაწილებას ჩრდილოვანი ეკონომიკის სასარგებლოდ, ეკონომიკურ კრიზისს, მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან დაქვეითებას. სამწუხაროდ საქართველოში დასაქმებისა და ცხოვრების დონის მახასიათებლები დაბალია და საჭიროებს მთავრობის მიერ ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების დახვეწას და მის შესრულებაზე მწყობრი სისტემის შექმნას.

კრიზისების პერიოდში სახელმწიფოს ფუნქციების გააქტიურების აუცილებლობა, კრიზისებისა და უმუშევრობის შერბილების პროგრამა მოცემულია ჯ. კეინსის მიერ, რომელიც დღესაც ძალაშია. პროგრამის თანახმად სახელმწიფომ მნიშვნელოვნად უნდა გააქტიუროს საკუთარი სტრატეგიული ფუნქცია, მოსახლეობის ეფექტური დასაქმებისა და მსყიდველობითი უნარის ამაღლების მიზნით, განახორციელოს წარმოებაში პროგრესული სტრუქტურული ძვრები, ბიზნესში ინოვაციების ფართომაშტაბიანი პროგრამების ათვისება და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი პოზიციების გაძლიერება. აუცილებელია ანტიკრიზისული რეგულირების ქმედითი მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავება, კრიზისების პროგრამირება და მათი დიაგნოსტირების უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკის დაცვითი ფუნქციის გაძლიერება, რაც ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით.

პირველი. განსაკუთრებით გამოსაყოფია საკუთრების დაცვის პრობლემა, რაც გულისხმობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და პირადი საკუთრების დაცვას. პირადი საკუთრების დაცვაში იგულისხმება დაცვა ქურდებისაგან და თაღლითებისაგან, რაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართებლივი გარანტიების მწყობრი მექანიზმის შექმნით, რომლის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის ექსპლოატაცია.

მეორე. ეკონომიკურ საქმიანობაში დასაქმებული მონაწილეების, პირველ რიგში კი მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვა, მათთვის კონკურენტუნარიანი საქმიანობისათვის თანაბარი პირობების შექმნა. ანტიმონოპოლიური რეგულირება, რეკეტისაგან, კორუფციისა და სხვა თავისუფალ ეკონომიკურ საქმიანობაზე ხელისშეშლის მიზნით ჩადენილი ქმედებებისაგან დაცვა.

მესამე. სახელმწიფოს როლის გაძლიერება, რომელიც თამაშობს მნიშვნელოვან როლს საბაზრო ეკონომიკაში შრომითი ურთიერთობების

მოწესრიგების საქმეში, იცავს როგორც დამქირავებლების ისე დაქირავებული მუშაკების ინტერესებს, აწესრიგებს შრომითი საქმიანობის დროს წარმოშობილ კონფლიქტებს, სოციალური პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცების მიზნით შესაბამისი კანონმდებლობის შექმნის საფუძველზე.

მეოთხე. სამამულო მწარმოებლებისა და მომხმარებლების აქტიური მხარდაჭერა, უცხოური კაპიტალის ექსპანსიის (დამორჩილების) მცდელობის შემთხვევაში.

მეხუთე. სახელწიფომ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის მწყობრი კონცეფცია, არ დაუშვას საგარეო ვალის უკონტროლო ზრდა (რისი საშიშროებაც საქართველოს ემუქრება), რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს თავი დაიცვას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენისაგან.

სახელმწიფოს დაცვის ფუნქცია განმტკიცებულია უპირველეს ყოვლისა ქვეყნის კონსტიტუციით, ქვეყანაში მოქმედი კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათი რეალიზაცია ფერხდება სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით, რაც ძირითადად უკავშირდება მსხვილი მწარმოებლების, ქვეყანაში გაბატონებული კლანების და ორგანიზებული დამნაშავეთა დაჯგუფებების მზარდ ინტერესებს.

ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების ძირითადი მიზანია ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და განმტკიცება, რაც სხვა პოზიტიურ შედეგებთან ერთად საბაზრო ეკონომიკის მწყობრი სისტემის დანერგვისა და დამკვიდრების მყარი გარანტიაა.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთავრობის ეკონომიკური მიზნების ერთობლიობაში შეიძლება გამოვყოთ ძირითადი

ამოცანები და პრიორიტეტები, რომელთა შორისაც როგორც წესი, ფიგურირებს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდა

უზრუნველყოფილი უნდა იქნას რაც შეიძლება მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებითა და მომსახურეობის ზრდით ანუ ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფით.

სრული დასაქმება. სასურველი საქმიანობის შესრულება უნდა შეეძლოს ყველას ვისაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და მუშაობის სურვილი.

ეკონომიკური ეფექტიანობა. შეზღუდული რესურსების პირობებში მიღებული უნდა იქნას მაქსიმალური შედეგი მინიმალური დანახარჯებით.

ფასების სტაბილური დონე. აუცილებელია თავიდან იქნას აცილებული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება ანუ ინფლაცია ან დეფლაცია. პირველი აზარალებს მწარმოებლებს, ხოლო მეორე მომხმარებლებს.

ეკონომიკური თავისუფლება. წარმოების ხელმძღვანელებს, დასაქმებულებსა და მომხმარებლებს საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობაში უნდა გააჩნდეთ მაქსიმალური თავისუფლება.

შემოსავლების სამართლიანი განაწილება. თავიდან უნდა იქნას აცილებული სიტუაცია, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ფუფუნებაში ცხოვრობს, (როგორც წესი უმცირესობა) ხოლო მეორე ნაწილი სიღატაკეშია (როგორც წესი უმრავლესობა).

ეკონომიკური გარანტიებით უზრუნველყოფა. მინიმალური ცხოვრების პირობებით უნდა იყვნენე უზრუნველყოფილი ქრონიკული ავადმყოფები, შრომისუუნაროები, ღრმად მოხუცებულები.

სავაჭრო ბალანსი. შენარჩუნებული უნდა იქნას ქვეყნისათვის მისაღები ბალანსი, როგორც ექსპორტსა და იმპორტში, ისე საერთაშორისო ვაჭრობაში და საერთაშორისო ფინანსურ შეთანხმებებში.

საქართველოში ისევე როგორც განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში, მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში, რის გამოც დიდი მნიშვნელობა აქვს პროცესის მიმდინარეობის სპეციფიურობის გამოვლენას და მის კვლევას, საქართველოში ჩამოყალიბებული ისტორიული, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. "საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში". კრებული ბათუმი-თბილისი. 2011 წ.

2. საზოგადოების მართვის ეფექტიანობის ზრდის სისტემური მიდგომის პოლიტიკური და სოციალური ასპექტები. მოხსენებათა თეზისები. (ინგლისურ ენაზე). აკადემიკოს ი. ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთასორისო სამეცნიერო კონფერენცია „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა." თბილისი. 2010წ.

3. საზოგადოების მართვის ეფექტიანობის ზრდის სისტემური მიდგომის პოლიტიკური და სოციალური ასპექტები. კონფერენცია, სტუ საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა. შრომები. თბ.2011 წ.

4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. სახელმწიფო მართვა: პრობლემები და პერსპექტივები. თბ. 2015.

О НЕКОТОРЫХ ФУНКЦИЯХ ГОСУДАРСТВА В ПРОЦЕССЕ ФОРМИРОВАНИЯ БАЗОВОЙ ЭКОНОМИКИ В ГРУЗИИ

КОБА СОХАДЗЕ

Доктор экономики, профессор ГТУ

E-mail: ananiashvili.nina@gmail.com

Резюме

Государство в рыночной экономике не может ограничиться функсией ее регулированияю. Оно должно создавать условия для социального партерства, для развития той части экономики, которая не функционирует по законам рынка. Речь идет прежде всего о социокультурной сфере – о развитии науки, культуры, образования демографических просесах обеспечении эффективной занятости охране здоровья окружающей среды подержке матеинства и детства стариков и т.п.